



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება № 16

2018 წლის 17 იანვარი
ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“, „დ.დ“, „დ.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №28 დადგენილება „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“. (www.matsne.gov.ge 27/11/2017 წ. 270070000.35.143.016436)

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2018 წლის 01 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე



მიხეილ ჯანაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	რანგი	თანამდებობა		თანამდებობრივი სარგო (ლარებში)
		პოლიტიკური თანამდებობა		
1		საკრებულოს თავმჯდომარე	1	2650
2		საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1	1800
3		საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	1700
4		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	5	1700
		აპარატი		
5	I რანგი	საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საკრებულოს აპარატის უფროსი	1	1250
6	III რანგი	საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი საჯარო თანამდებობის პირი - უფროსი სპეციალისტი	6	700